შენი ჯანმრთელობა
შენს ხელთაა!

ეროვნული
სკრინინგ
ცენტრი

დროულად ჩაიტარე
უფასო გამოკვლევები!

ჩაერთე სკრინინგის პროგრამაში ავთვისებიანი სიმსივნის თავიდან ასაცილებლად!

არ გადადო!

დროულად და თანმიმდევრული გამოკვლევებით **შენ შეძლებ:**

- მშვიდად განაგრძო ჯანმრთელობის კონტროლი;
- არ მისცე საშუალება დაავადებას გადაიქცეს ავთვისებიან სიმსივნედ;
- სრულად განიკურნო სიმსივნის ადრეულ სტადიაზე გამოვლენის შემთხვევაში.

ეს სავსებით **შესაძლებელია!**

სკრინინგის პროგრამა ხორციელდება საქართველოს პირველი ლედის პატრონაჟით.

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

ქალის რეპროდუქციული სისტემის ავთვისებიან სიმსივნეებს შორის პირველ ადგილს ძუძუს კიბო იკავებს, ხოლო მეორეს – საშვილოსნოს ყელის კიბო.

უკანასკნელი წლების განმავლობაში დაავადების სიხშირის მატება შეიმჩნევა როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის მეთოდები წლიდან წლამდე იხვეწება, ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოთი გარდაცვალების შემთხვევები მაინც იმატებს. ამის მიზეზი უპირატესად ამ დაავადებების გვიანდელ სტადიაზე გამოვლენაა, რაც საგრძნობლად ამცირებს მკურნალობის ეფექტურობას.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის საუკეთესო გზა მოსახლეობის მასობრივი სკრინინგია (screen-ინგლ. გადარჩევა), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, პათოლოგიური პროცესის ადრეულ სტადიაზე აღმოჩენა და მკურნალობა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სკრინინგში მონაწილე ქალებს შორის სარძევე ჯირკვლის კიბოს მიზეზით გარდაცვლილთა რიცხვი 35%-ით შემცირდა!

თბილისის მუნიციპალიტეტისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანადაფინანსებით 2008 წლიდან მოქმედებს ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამა. 2011 წლიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაფინანსებით, პროგრამა ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს ყველა ქალბატონისთვის, რომლის ასაკია : **40-დან 70 წლამდე – ძუძუს კიბოს სკრინინგისთვის; 25-დან 60 წლამდე – საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის.**

რა უნდა ვიცოდეთ ძუძუს კიბოს სკრინინგის შესახებ?
რა პრინციპით ხორციელდება ძუძუს კიბოს სკრინინგი?

ძუძუს კიბოს სკრინინგი მამოგრაფიული კვლევის საშუალებით წარმოებს. სარძევე ჯირკვლის მამოგრა–ფია გულისხმობს რენტგენოლოგიურ კვლევას, რომლის დროსაც ძუძუს ქსოვილის დასხივება ჯანმრთ–ელობისთვის სრულიად უსაფრთხო, მინიმალური დოზით ხდება. ძუძუს კიბოს სკრინინგი მეტად ხანმოკლე პროცედურაა.

რატომ არის აუცილებელი ძუძუს კიბოს სკრინინგი?

ძუძუს კიბოს სკრინინგის საშუალებით შესაძლებელია ავთვისებიანი სიმსივნის გამოვლენა საწყის სტადიაზე, როდესაც მისი თვალით შემჩნევა, თუნდაც ხელით გასინჯვა, შეუძლებელია.

თუ ძუძუს კიბო საწყის სტადიაზე იქნა აღმოჩენილი, განკურნება სავსებით შესაძლებელია.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, პირველ სტადიაზე გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს კიბოსგან სრული განკურნება ასიდან 98 შემთხვევაშია შესაძ–ლებელი!

რა პრინციპით ტარდება მამოგრაფია?

მამოგრაფია ტარდება შიშველ მკერდზე, რომელიც კვლევის დროს რამდენიმე წამით მოექცევა სპეცია–ლური აპარატურის ქვეშ. პროცედურა მტკივნეული არ არის. მას თან სდევს უმნიშვნელო დისკომფორტი (ამ შეგრძნებას ქალები ხშირად არტერიული წნევის გაზომვას ადარებენ), რომელიც პროცედურის დროს ჯირკვალზე მცირედი ზეწოლით არის განპირობებული და მამოგრაფიული კვლევის დასრულებისთანავე გაივლის.

როდის უნდა ველოდოთ პასუხს?

მამოგრაფიის დასრულების შემდეგ მამოგრამას (ფირს, რომელზეც სარძევე ჯირკვლის ქსოვილია გამოსა–ხული) ორი ექიმი რადიოლოგი კითხულობს. კვლევის შედეგის მიღებას ქალი 10 სამუშაო დღის შემდეგ შეძლებს.

როდის არის საჭირო განმეორებითი კვლევა?

სტატისტიკის თანახმად, ქვეყნებში, სადაც ფართოდ არის დანერგილი ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამა, მამოგრაფიული კვლევის შემდეგ გამოკვლეულთა 95%-ს არავითარი საეჭვო ცვლილება არ უვლინდება.

შესაძლოა, ექიმმა ქალს განმეორებითი გამოკვლევის ჩატარება ურჩიოს,

- თუ მამოგრაფიამ გამოავლინა ცვლილება, რომელიც დამატებით შესწავლას საჭიროებს;
- თუ ტექნიკური წუნის გამო, ფირზე კვლევის შედეგის წაკითხვა შეუძლებელია.

თუ მამოგრაფიული კვლევის შედეგად საეჭვო ცვლილებები გამოვლინდა, ექიმი დამატებითი კვლევის (ექოსკოპიური კვლევის, ბიოფსიის) ჩატარებას გირჩევთ.

თუ სკრინინგმა საეჭვო ცვლილება არ აჩვენა, განმეორებით გამოკვლევა მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ მოგიწევთ.

როგორ მოვემზადოთ მამოგრაფიისთვის?

ძუძუს კიბოს სკრინინგისთვის განსაკუთრებული მომზადება საჭირო არ არის. მხოლოდ გამოკვლევის დღეს, შხაპის შემდეგ, არ გამოიყენოთ კოსმეტიკური საშუალებები.

დაიმახსოვრეთ: ძუძუს გამოკვლევის ჩატარება რეკომენდებულია მენსტრუალური ციკლის დაწყები–დან მე-7-14 დღეს.

რას ნიშნავს პასუხი, რომ მკურნალობა გჭირდებათ?

თუ ექიმმა დაგარწმუნათ, რომ მკურნალობა გჭირდე–ბათ, ნუ შეშფოთდებით. ძუძუს დაავადებათა უმრავლესობას კეთილთვისებიანი მიმდინარეობა ახასიათებს, თუმცა ყოველ მათგანს სჭირდება დროული და სწორი მკურნალობა. სკრინინგის პროგრამაში მომუშავე ექიმის რჩევით, ქალმა უნდა მიმართოს სპეციალიზებულ დაწესებულებას, ვინაიდან დაავადების მკურნალობა სცდება სკრინინგის პროგრამის ფარგლებს. პირველ სტადიაზე გამოვ-ლენილი დაავადების მკურნალობა, ძუძუს კიბოს შემთხვევაშიც კი, მეტად შედეგიანია და 100-დან 98 შემთხვევაში სრული განკურნებით სრულდება.

რა ნაკლი აქვს ძუძუს კიბოს სკრინინგს?

ისევე, როგორც ყველა სხვა სახის გამოკვლევას, მამოგრაფიასაც აქვს ნაკლი, რადგან ავთვისებიან სიმსივნეთა ზოგიერთი სახეობა ცუდად ჩანს, ან სრულებით არ ჩანს რენტგენის ფირზე.

არის თუ არა სკრინინგი ძუძუს კიბოს პრევენციის საშუალება?

სკრინინგი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს აღმოჩენილი უკვე არსებული ავთვისებიანი სიმსივნე, მაგრამ სამომავლოდ კიბოსგან დაცვას არ უზრუნ–ველყოფს.

ძუძუს კიბო, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ორგანოს ავთვისებიანი სიმსივნე, შესაძლოა გაჩნდეს გეგმიურ მამოგრაფიულ გასინჯვებს შორის.

ძუძუს კიბო რომ არ გამოგეპაროთ, ასე მოიქეცით:

- რეგულარულად, ყოველთვიურად ჩაიტარეთ ძუძუს თვითგასინჯვა მენსტრუალური ციკლის დასრულებიდან მე-7-12 დღეს, მენოპაუზის შემთხვევაში – ყოველი თვის ერთსა და იმავე რიცხვში;
- პროფილაქტიკური გასინჯვისთვის რეგულარულად ეწვიეთ მამოლოგს: 18-35 წლის ასაკში – 3 წელიწადში ერთხელ, 35 წლის შემდეგ კი – ყოველწლიურად;
- თუ თვითგასინჯვისას ძუძუში რაიმე ცვლილება აღმოაჩინეთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ მამოლოგს;
- გულისყურით მოეკიდეთ ძუძუში პათოლოგიური პროცესების მაუწყებელ ნიშნებს: მაგალითად, გამონადენს (მით უფრო – სისხლიანს) დვრილიდან, ძუძუს დეფორმაციას და ა.შ.

რაც მთავარია: თუ 40 წელს უკვე გადააბიჯეთ, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩაიტარეთ ძუძუს კიბოს სკრინინგი.

განსაკუთრებული ყურადღება მართებთ ქალბატონებს, რომლებსაც აღენიშნებათ რისკის ფაქტორები:

- მენსტრუალური ციკლის ადრეულ ასაკში (12 წლამდე) დაწყება;
- მენოპაუზის დაგვიანება – მენსტრუაციის შეწყვეტა 50 წლის შემდეგ;
- აბორტები;
- მშობიარობა გვიან ასაკში (ძუძუს კიბოს განვითარების რისკი იზრდება არანამშობიარევ ქალებშიც);
- ხანმოკლე ლაქტაცია ანუ ძუძუთი კვების ადრეული შეწყვეტა;
- საკვერცხეების ქრონიკული ანთებითი დაავადება;
- ჭარბი წონა, შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია;
- ძუძუს კიბოს შემთხვევები I ან II რიგის ნათესავებში;
- წარსულში ძუძუს კიბოს არსებობა.

დაიმახსოვრეთ: თუ რისკის ფაქტორთაგან ერთდროულად 4-მა ან მეტმა მოიყარა თავი, ძუძუს კიბოს განვითარების საფრთხე მკვეთრად იმატებს.

ძუძუს კიბოს მკურნალობის ეფექტურობა მის ადრეულ გამოვლენაზე არის დამოკიდებული.

პირველი, რაც ამ სენის თავიდან აცილების მიზნით შეიძლება გაკეთდეს, სარძევე ჯირკვლის თვითგასინჯვაა.

როგორ ვაწარმოოთ თვითგასინჯვა?

ძუძუს თვითგასინჯვა რეგულარულად, ყოველთვიურად მენსტრუალური ციკლის დამთავრებიდან მე-7-10 დღეს აწარმოეთ, მენოპაუზის შემთხვევაში კი – ყოველი თვის ერთსა და იმავე რიცხვში;

თვითგასინჯვა უნდა ჩაატაროთ შემდეგ პოზიციებში: ვერტიკალურ მდგომარეობაში (სარკის წინ, შხაპის ქვეშ) ან ჰორიზონტალურ მდგომარეობაში (ზურგზე მწოლიარე);



- პირველ რიგში აზღუდი (ბიუსტჰალტერი) დაათვალიერეთ. შესაძლოა მასზე სისველე, დვრილიდან გამონადენის კვალი იყოს დარჩენილი;
- გულდასმით დაითვალიერეთ ძუძუს დვრილები, ხომ არ აღინიშნება ჩაბრუნება, დაწყლულება, ფერის შეცვლა;
- დაითვალიერეთ ძუძუს კანი, ხომ არ აღინიშნება მისი შეშუპება, შეჭმუხვნა, ფერის შეცვლა.

1. სარკის წინ

ყურადღებით დაითვალიერეთ მკერდი, ხომ არ აღინიშნება სარძევე ჯირკვლების ასიმეტრია, თითოეული ძუძუს ფორმის, ზომის, კანის სტრუქტურის, ან თუნდაც დვრილის ცვლილება (მაგალითად, ჩაბრუნება). ამ ნიშნების შემჩნევა შეგიძლიათ შემდეგი თანმიმდევრული მოქმედებების დროს:



- ხელები ჩამოუშვით;
- შემოირტყით დოინჯი, დაჭიმეთ ხელისა და მკერდის კუნთები;
- ხელები გასწიეთ განზე;
- ორივე ხელი კეფაზე შემოიწყვეთ;
- დაიხარეთ 90°-ით და კიდევ ერთხელ გულდასმით დაითვალიერეთ ორივე ძუძუ.



2. შხაპის მიღების დროს

დაიდეთ მარცხენა ხელი კეფაზე. მარჯვენა ხელის გასაპნული სამი თითის (საჩვენებელი თითის, შუა თითის და არათითის) წრიული მოძრაობებით გაისინჯეთ მარცხენა ძუძუ პერიფერიიდან დვრილისკენ. თანდათან უფრო ძლიერად დააჭირეთ თითები, რათა შეძლოთ ღრმად მდებარე წარმონაქმნების გასინჯვა. იგივე გაიმეორეთ მეორე ძუძუზე.

3. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში

დაწექით ზურგზე, ბეჭების ქვეშ მჭიდროდ დახვეული პირსახოცი ამოიდეთ. მარცხენა ხელი თავქვეშ მოათავსეთ, ხოლო მარჯვენა ხელის თითების წრიული მოძრაობით მარცხენა ძუძუ გაისინჯეთ პერიფერიიდან დვრილის მიმართულებით. თითების მსუბუქი ზეწოლით გაისინჯეთ ზერელე ქსოვილები, ძლიერი ზეწოლით კი ღრმად მდებარე.

გულდასმით დაათვალიერეთ ძუძუსა და იღლიას შორის მიდამო და იღლიის ფოსო. გახსოვდეთ, დვრილიდან გამონადენი თეთრეულზე კვალს ყოველთვის არ ტოვებს, ამიტომ მის გამოსავლენად გირჩევთ ძუძუს დვრილს მსუბუქად მოუჭიროთ საჩვენებელი და ცერა თითი. განსაკუთრებით საშიშია სისხლიანი გამონადენი.

როდის უნდა მიმართოთ ექიმს?

უთუოდ მიმართეთ სპეციალისტს, თუკი აღმოაჩენთ:

- სიმსივნურ წარმონაქმნს ძუძუში ან იღლიის ფოსოში;
- ძუძუს კანის სიწითლეს ან სიმხურვალეს;
- ლიმონის ქერქისებურ კანს;
- ძუძუს კანის შეჭმუხვნას;
- უჩვეულო ტკივილს ძუძუში;
- წვას და სიწითლეს დვრილის არეში;
- დვრილის ჩაბრუნებას;
- სისხლიან ან სხვა სახის გამონადენს დვრილიდან.

ძუძუს კიბოს პროფილაქტიკის აუცილებელ პირობას კიბოსწინარე დაავადებების ადრეული გამოვლენა და მკურნალობა წარმოადგენს!

რა უნდა ვიცოდეთ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შესახებ?
რა პრინციპით ხორციელდება საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი?

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის უმთავრესი მეთოდია PAP ტესტი, რომელიც საშვილოსნოს ყელის ნაცხის გამოკვლევას გულისხმობს.

რატომ არის აუცილებელი საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი?

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს კიბოსწინარე დაავადებები და ინფექცია. ტესტის საშუალებით ვლინდება ცვლილებები, გამოწვეული ადამიანის პაპილომა ვირუსით, რომელიც საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია.

ამდენად, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ავთვისებიანი სიმსივნისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა!

რა პრინციპით ტარდება PAP ტესტი?

ტექნიკურად PAP ტესტი შემდეგნაირად ხორციელდება: საშვილოსნოს ყელის ე.წ. T (ტრანსფორმაციის, ანუ გარდაქმნის) ზონიდან გინეკოლოგი შპადელით ან ფუნჯით იღებს ნაცხს, რომელიც სათანადო წესების დაცვით თავსდება სასაგნე მინაზე და იგზავნება ლაბორატორიაში მიკროსკოპის ქვეშ გამოსაკვლევად.

პროცედურამ, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდება, შესაძლოა მცირედი დისკომფორტი გამოიწვიოს, რომელიც ნაცხის აღების დასრულებისთანავე უკვალოდ გაქრება. თუ შპადელის შეხებისას ტკივილი იგრძენით, უთუოდ აცნობეთ გინეკოლოგს.

როდის უნდა ველოდოთ პასუხს?

PAP ტესტის შედეგს ქალი 10 სამუშაო დღის შემდეგ, სკრინინგის ჩატარების ადგილის მიხედვით შეიტყობს.

როდის არის საჭირო განმეორებითი კვლევა?

სტატისტიკის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც ფართოდ არის დანერგილი საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა, PAP ტესტის საშუალებით გამოკვლეულთა 93,5%-ს არავითარი საეჭვო ცვლილება არ უვლინდება. განმეორებითი გამოკვლევა (ანალიზის გადამოწმება) ექიმმა ქალს მაშინ შეიძლება ურჩიოს, როდესაც ნაცხი არადამაკმაყოფილებელ ინფორმაციას იძლევა, მაგალითად, საკვლევი უჯრედები სისხლით ან ლორწოთია დაფარული, ნაცხი არასათანადოდ არის აღებული და ა.შ.

თუ PAP ტესტმა სახეცვლილი უჯრედები გამოავლინა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უთუოდ კიბო გაქვთ – ზოგ შემთხვევაში ასეთი ცვლილება საგანგაშო არ არის, თუმცა დიაგნოზის დასაზუსტებლად გინეკოლოგმა შესაძლოა კოლპოსკოპიური კვლევის ჩატარება გირჩიოთ.

როგორ მოვემზადოთ PAP ტესტისთვის?

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის მომზადებისას გახსოვდეთ: დაუშვებელია PAP ტესტის ჩატარება მენსტრუაციის დროს. სკრინინგისთვის საუკეთესოა ციკლის შუა პერიოდი. თუ სქესობრივი კონტაქტის დროს დაცვის ბარიერული საშუალება, სპერმიციდი ან ლუბრიკანტი გამოიყენეთ, უახლოესი 24 საათის განმავლობაში PAP ტესტის ჩატარება რეკომენდებული არ არის – კონტრაცეპტივებში შემავალი ქიმიური ნივთიერებები ტესტის შედეგზე გავლენას უთუოდ მოახდენს.

იმ ქვეყნებში, სადაც დანერგილია საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, კიბოთი ავადობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა!

რა ნაკლი აქვს საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს?

ძალზე იშვიათად საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისას პათოლოგიური ცვლილება შესაძლოა არ დაფიქსირდეს, ვინაიდან ზოგჯერ ავთვისებიანი უჯრედები ნორმალურისგან ძნელი გასარჩევია ან საკვლევი მასალა (ნაცხი) მეტად მცირე რაოდენობის პათოლოგიურ უჯრედს შეიცავს.

იმ ქვეყნების სტატისტიკის მიხედვით, სადაც საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ფართოდ არის დანერგილი, ყოველი 10 ანალიზიდან ერთი გადამოწმებას მოითხოვს, რადგან შესაძლოა:

- აღმოგაჩნდეთ ინფექცია, რომლის მკურნალობა აუცილებელია, რათა სრულფასოვანი დიაგნოზი იქნეს დასმული;
- საკვლევი მასალა სისხლით ან ლორწოთი იყოს დაფარული;
- ნაცხში ძალიან ცოტა იყოს საკვლევი მასალა;
- საკვლევი მასალა არასათანადოდ იყოს მომზადებული;
- საკვლევი მინა, რომელზეც ნაცხია მოთავსებული, გატყდეს.

არის თუ არა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი პრევენციის საშუალება?

სკრინინგი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს საშვილოსნოს ყელის ქსოვილში განვითარებული პათოლოგიური ცვლილებები. მათი ადრეული აღმოჩენისა და მკურნალობის შედეგად, კიბოს ჩამოყალიბების თავიდან აცილება 100-დან 75 შემთხვევაშია შესაძლებელი!

ეს ყველა ქალმა უნდა იცოდეს!

საშვილოსნოს ყელის კიბო მხედველობიდან რომ არ გამოგრჩეთ, ამგვარად მოიქეცით:

- ერიდეთ რისკის ფაქტორებს, რომლებიც საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას უწყობს ხელს;

- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ქრონიკულ ანთებით, სქესობრივი გზით გადამდებ და კიბოსწინარე დაავადებებს. ნუ გადადებთ მათ მკურნალობას;
- პერიოდულად (სასურველია, წელიწადში ერთხელ) ეწვიეთ გინეკოლოგს და ჩაიტარეთ ყველა საჭირო გამოკვლევა;
- ნებისმიერი უჩვეულო ნიშნის შემჩნევისთანავე, საშვილოსნოდან სისხლდენა იქნება ეს, სხვა სახის პათოლოგიური გამონადენი თუ მენსტრუალური ციკლის დარღვევა, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

განსაკუთრებული ყურადღება მართებთ ქალბატონებს, რომლებსაც აღენიშნებათ რისკის ფაქტორები:

- სქესობრივი ცხოვრების ნაადრევი დაწყება;
- სქესობრივ პარტნიორთა სიმრავლე;
- ანამნეზში სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა არსებობა;
- რამდენიმე მშობიარობა (დაავადების რისკი ყოველი მშობიარობის შემდეგ იზრდება);
- ადამიანის პაპილომავირუსული ინფექცია;
- მავნე ჩვევები – მწეველებს შორის დაავადების რისკი მაღალია.

როგორ ჩავერთოთ სკრინინგის პროგრამაში?

თბილისის მუნიციპალიტეტისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანადაფინანსებით 2008 წლიდან მოქმედებს სკრინინგის პროგრამა. 2011 წლიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაფინანსებით, პროგრამა ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს ყველა ქალბატონისთვის, რომლის ასაკია : 40-დან 70 წლამდე – ძუძუს კიბოს სკრინინგისთვის; 25-დან 60 წლამდე – საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის.

თუ ეკუთვნით რომელიმე ამ ასაკობრივ ჯგუფს, დარეკეთ ეროვნული სკრინინგ ცენტრის საინფორმაციო სამსახურის ნომერზე – 220 35 35, რომელზეც მიიღებთ ინფორმაციას იმ კლინიკების შესახებ, სადაც სკრინინგულ გამოკვლევებს ჩაგიტარებენ.

ძუძუს სკრინინგის პროგრამული გამოკვლევები უფასოა 2 წელიწადში ერთხელ, საშვილოსნოს ყელისა კი – 3 წელიწადში ერთხელ.

ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოსგან თავის დაღწევის საუკეთესო გზა მათი ადრეული დიაგნოსტიკაა! ერთად ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე!

ეროვნული სკრინინგ ცენტრი

UNFPA

ICDC

ფარმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საამინისტრო

ცხელი ხაზი:

220 35 35

ეროვნული სკრინინგ ცენტრი
თბილისი, წერეთლის 69
214 00 93

info@gnsc.ge | www.gnsc.ge